II

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2015

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!
ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის III ნაწილში მოცემული ზოგიერთი დავალების (№№3-17) შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უჯრედები მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.
ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.
უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (№1 ან №2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**
შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.
ყველა დავალების ბოლოს ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია ადგილი შავი ვარიანტის დასაწერად.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!
გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომლის პასუხიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!
არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. ***გაასწორეთ*** მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

ეკატერინე გაბაშვილი დაიბადა 1851 წლის 16 ივნისს გორში. მამამ რომელიც ლიბერალურ თავადაზნაურობას მიეკუთვნებოდა პატარა ეკატერინე თბილისში ჩამოიყვანა და ჯერ გერმანულ სკოლაში მიაბარა შემდეგ კი პანსიონში გადაიყვანა. აქ მას ასწავლიდა ალექსანდრე ცაგარელი და იაკობ გოგებაშვილი. ეკატერინეს გადაწყვეტილი ქონდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება მაგრამ უსახსრობის გამო ეს ვერ გაანხორციელა და 17 წლის ასაკში მასწავლებლობა დაიწყო. იგი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ასწავლიდა ღარიბ ბავშვებს.

ეკატერინე იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი და ბევრი წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა მას. განსაკუთრებულია მისი წვლილი ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორც ქალთა უფლებების დაცვაა. ეკატერინეს სახლი არაერთი მწერალი ქალების თავშეყრის ადგილი იყო. 1883 წელს მან საკუთარ ბინაში ჭრაკერვის სკოლის გახსნაც კი მოახდინა. ეს იყო სასწავლებელი, რომელიც, გარდა პროფესიისა ზოგად განათლების მიღების საშუალებასაც აძლევდა ქალიშვილებს. ამ სკოლის მასწავლებელთა უმეტესობა უსასყიდლოთ მუშაობდა. ეკატერინე გაბაშვილმა საფუძველი დაუდო მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჟანრის (ნოველის) დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში. ეკატერინე 11 შვილის დედა იყო და დიდი ოჯახის გაძღოლასა და ნაყოფიერ საქმიანობას წარმატებით ართმევდა თავს. ეკატერინე გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

შავი სამუშაოსათვის

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

საქართველოში ბევრი არასრულწლოვანი იძულებულია სწავლას თავი დაანებოს და მუშაობა დაიწყოს. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის მოგვარება შეუძლებელია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ: *თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.*

შავი სამუშაოსათვის

III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები ლექსიდან „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“:

1. „ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუვანი არს და უპირო!
   არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო;
   დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო,
   ამად სჯობს, ხორცი უვარჰყო, სულსა ულოცო, უწირო.
2. ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი, მობრუნავია!
   წამს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის ნავია,
   ყოველი ლხინი მუხთლისა კვლავ ისევ საჭმუნავია,
   ერთი დრო გრძლად არ შეგრჩების, კარგი სთქვა, გინა ავია...
3. მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,
   რაც მომებოძა თავიდგან, ბოლო-ჟამ ისევ წამერთო!
   მან დამიკვანძა, მუხთალმა, მე რაცა მეხვეწა-მერთო,
   მის გამო სევდით მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო...
4. ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?
   სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივყევარ სადაო!
   მამა, დედა, ძმა თვალითა ვეღარა მხედავს, ა დაო,
   ძეთა და ასულთაგანაც გამხადა უღირსადაო...
5. მშვილდს მომიწივა მუხთალმა, ისარი გულში მამასო,
   არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის „მამასო“.
   მან დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა მამასო.
   დავჯექ და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი თუ: ვიშვილებ ამასო.
6. ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია,
   სად კაცს არ უნდა, წარიყვანს, ყელზე საბელი უბია.
   მისთვის ვსტირ ცხელის ცრემლითა, სველი მაქვს კალთა-უბია.
   მე მსურდა ერთი, არ მომცა; ვის არ სურს, მისცა ტყუბია...
7. ორგემაგე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვალავს;
   დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს.
   ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისვრის, მშვილდს კი მალავს.
   მას დავნატრი, ვინცა სწორედ სვლად საწუთროს გზას გაჰკვალავს...
8. მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს!
   უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
   ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
   ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!..
9. მითხარ, მტერო, დავის თხოვნით დავითისგან მოიგე რა?
   რად უყვედრე უშობელსა, ბერწობ, ვერა მოიგე-რა?
   იმას შვილად ვერვინა სჯობს, დავით ვინც ძედ მოიგერა,
   ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი იმით მოიგერა.
10. მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
    ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა.
    თუმცა ენა გასარეკლდა, გული მისთვის გამიზარდა,
    მაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდა“.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) **3. *როგორ* არის დახასიათებული საწუთრო I სტროფში?**
ა) არ არის დასაგმობი.
ბ) არ არის სანდო.
გ) არ არის მოუხელთებელი.
დ) არ არის მატყუარა.

(1) **4. *რას* ნიშნავს სიტყვები:** „ერთი დრო გრძლად არ შეგრჩების...“?
ა) ცუდი დასასრულის თავიდან არიდება შესაძლებელია.
ბ) ყველაფერს გარდაუვალი დასასრული აქვს.
გ) ბოროტებას საბოლოო გამარჯვება არ უწერია.
დ) ტანჯვა სულის უკვდავებას განაპირობებს.

(1) **5. ავტორის *რა* სულიერი მდგომარეობაა გამოხატული სტრიქონში:** „რაც მომებოძა თავიდ-გან, ბოლო-ჟამ ისევ წამერთო“?
ა) სიამოვნების გრძნობა.
ბ) სირცხვილის განცდა.
გ) უკმაყოფილება.
დ) კმაყოფილება.

(1) **6. *რომელი* მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში:** „მის გამო სევდით მე გუ-ლი, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო“?
ა) ალეგორია.
ბ) შედარება.
გ) ირონია.
დ) ეპითეტი.

(1) **7. *რაში* პოულობს გამოსავალს პოეტი V სტროფის მიხედვით?**
ა) მეგობრებთან ურთიერთობაში.
ბ) მტერთან ბრძოლაში.
გ) ოჯახზე ზრუნვაში.
დ) შემოქმედებით მოღვაწეობაში.

(1) **8. კონკრეტულად *რა* აზრია გამოხატული სტრიქონში:** „სად კაცს არ უნდა, წარიყვანს, ყე-ლზე საბელი უბია“?
ა) წუთისოფლის ნებას ადამიანი წინააღმდეგობას უწევს.
ბ) წუთისოფელი ადამიანს შეუზღუდავ თავისუფლებას ანიჭებს.
გ) წუთისოფელი ადამიანს თავის ნებაზე ატარებს.
დ) წუთისოფლისაგან ადამიანი სარგებელს ყოველთვის ნახავს.

(1) **9. *რომელ* სტრიქონშია გამოყენებული ტროპული მეტყველება?**
ა) „არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის „მამასო“.
ბ) „მამა, დედა, ძმა თვალითა ვეღარა მხედავს, ა დაო“.
გ) „მშვილდს მომიწივა მუხთალმა, ისარი გულში მამასო“.
დ) „ძეთა და ასულთაგანაც გამხადა უღირსადაო“.

(1) **10. *რას* უსაყვედურებს ავტორი წუთისოფელს სტრიქონში:** „მე მსურდა ერთი, არ მომცა; ვის არ სურს, მისცა ტყუბია“?
ა) მტრის მონად აქცია.
ბ) ოჯახი დაუღუპა.
გ) შვილი არ მისცა.
დ) სამშობლოს მოსწყვიტა.

(1) **11. *რას* ნიშნავს სიტყვები:** „ორგემაგე არს საწუთრო“?
ა) საწუთრო ადამიანის ნებას ორგუნავს.
ბ) საწუთრო ცბიერი და ცვალებადია.

გ) საწუთრო ღვთაებრივ ნებას განასახიერებს.
დ) საწუთრო კეთილი და სამართლიანია.

(1) **12.** ***ვის*** **„დანატრის“ ავტორი VII სტროფში?**
ა) ვინც ცხოვრების გზაზე სატრფოს შეხვდება.
ბ) ვინც ცხოვრების გზას მართებულად გაივლის.
გ) ვინც შვებას მეგობრებში ნახავს.
დ) ვინც სამშობლოსათვის თავს გაწირავს.

(1) **13.** ***რის*** **სიმბოლოა „მჭლე კაცი“?**
ა) სიცოცხლის.
ბ) სიკვდილის.
გ) ახდენილი ოცნებების.
დ) გაცრუებული იმედების.

(1) **14.** ***ვინ (ან რა)*** **„იშვილა“ ავტორმა IX სტროფის მიხედვით?**
ა) საკუთარი შემოქმედება.
ბ) ქართული პოეზია.
გ) უპატრონო ობოლი.
დ) მივიწყებული მეგობარი.

(1) **15.** ***რომელ*** **სტრიქონში ჩანს, თუ რა გამოსავალი იპოვა უმემკვიდროდ დარჩენილმა ავტორმა?**
ა) „რად უყვედრე უშობელსა, ბერწობ, ვერა მოიგე-რა?“.
ბ) „თუმცა ენა გასარეკლდა, გული მისთვის გამიზარდა“.
გ) „მითხარ, მტერო, დავის თხოვნით დავითისგან მოიგე რა?“
დ) „მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა“.

(1) **16. ტექსტის *რომელ* მონაკვეთში ჩანს ის კონკრეტული მიზეზი, რის გამოც ავტორი ასე კატეგორიულად გმობს წუთისოფელს?**
ა) „ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!..“
ბ) „დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო,
ამად სჯობს, ხორცი უვარჰყო, სულსა ულოცო, უწირო“.
გ) „მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს!
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს“.
დ) „ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?
სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მივყავარ სადაო!“

(1) **17.** ***რის*** **შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?**
ა) საწუთროს გაუტანლობის.
ბ) უშვილძიროდ გადაგების.
გ) შემოქმედებითი ცხოვრების.
დ) ღმერთის უარყოფის.

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, *თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, ***შავად შესრულებული ნამუშევარი*** **არ გასწორდება**.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რის გამო ემდურის ავტორი საწუთროს (ყურადღება მიაქციეთ, რით ინუგეშებს იგი თავს).
- იმსჯელეთ საკუთარი შემოქმედების მიმართ ავტორის დამოკიდებულების შესახებ.
- იმსჯელეთ, რომელ მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ ტექსტში და რა ფუნქცია ეკისრება მათ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ნაწარმოებში „ჰაკი აძბა“ ლეო ქიაჩელი მოგვითხრობს, რომ თეთრგვარდიელმა ოფიცერმა უჯუშ ემხამ მოკლა ბოლშევიკი მეზღვაური. გემის კაპიტანმა კუზმა კილგამ ბექირბი ჩაჩბა დაატყვევა და სანაცვლოდ მკვლელის გადაცემა მოითხოვა. სოხუმელები შეშინდნენ და უჯუშის დედა და და შეიპყრეს:

თვალცრემლიანები შეხვდნენ ერთმანეთს უჯუში და თოუხან მარშანი. კარგა ხანს შერჩათ გადაჭდობილად ჩამორთმეული ხელები. გულითადი გრძნობით გულაჩვილებული მარშანი ტირილს ძლივს იკავებდა. დიდხანს სდუმდნენ.

– რა მექნა, თავს დამესხნენ, – თქვა ბოლოს უჯუშმა და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

– შოუჰარ და ლილი შეიპყრეს, უჯუშ, – წარმოსთქვა თოუხანმა და უჯუშს თვალი აარიდა.

– ჰაიტ, რა დიაცურად მოქცეულან ის ძუ ძაღლები, – წამოიძახა ჰაკიმ...

უჯუშმა უცებ ხელი შეუშვა მარშანს. ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და მთელი ტანით გაიმართა.

– მოხუცებული დედაჩემი შეიპყრეს! ლილიც! – ხელების გაშლით წამოიგმინა მან და თოუხანის არიდებული თვალები რომ დაინახა, ემხებს გადახედა, თითქოს მათგან ცნობის დადასტურებას თხოულობსო.

– მისმინე კიდევ, უჯუშ, ბოლშევიკებმა შენს მაგიერ ბექირბი ჩაჩბა დაატყვევეს. გემზე ჰყავთ. ერთი საათი ვადა მოგვცეს, რომ...

ამის გაგონებაზე ემხა ისევ მივარდა მარშანს, მკლავებზე ხელები შეავლო.

– მერე? – ჰკითხა სულშეხუთულად და შეანჯღრია. – მერე-მეთქი, თოუხან?

თოუხანი გაჩუმდა. მცირე ხნის საერთო სიჩუმის შემდეგ ერთ-ერთმა ემხამ წარმოთქვა:

– ვაჰვაჰაი, უჯუშ, შენმა ახლობლებმა და აფხაზეთის რჩეულმა თავადებმა ასე იფიქრეს: ბექირბი ჩაჩბას გაწირვა არ იქნებაო, და შენთან ეს სიტყვა დაგვაბარეს. ესეც თქვეს: მთელი აფხაზეთი ჩაერევა ამ საქმეში და უჯუშს სიკვდილისაგან იხსნისო.

სულ მცირე ხნის სიჩუმე ჩამოვარდა კვლავ. ყველა უჯუშს შეჰყურებდა სულმოუთქმელად.

– მესმის, ძმებო, ყველაფერი. დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში. საჭირო არ არის ზედმეტი სიტყვა. მზად ვარ, გამოვცხადდე, – წარმოთქვა უჯუშმა და აქამდე გაფითრებულ სახეზე სისხლი წამოაწვა.

ახლა კი ჰაკი აძბა უჯუშს და თოუხან მარშანს შუა ჩადგა. მთელი ტანით დაიგრიხა და დაიკლაკნა. მიწისფერ ტუჩებში თეთრი კბილები გამოაჩინა:

– სიტყვა... სიტყვა მათქმევინეთ. აჩქარება ჭკუას არ ეწყობა. მომისმინეთ: ჯერ არ ყოფილა ქვეყანაზე ისეთი კანონი, რომ ნამდვილი დამნაშავის მაგიერ სრულიად უდანაშაულო კაცი დაესაჯათ. ბექირბი ჩაჩბას არა უშავს რა. ის მთელი აფხაზეთის თავკაცად ითვლება და დიდი თავადიც არის. მას ხელს ცუდად ვერავინ ვერ შეახებს. მართალია, შეწუხება არ აცდება და ერთ ხანს, შეიძლება, ტყვედაც დარჩეს, მაგრამ სიკვდილი კი არ მოელის. მერე თქვენ ბრძანებთ, მთელი აფხაზეთი საქმეში ჩაერევაო, და ხომ ცხადია, რომ უდანაშაულო ბექირბის დახსნა უფრო ადვილად მოხერხდება. უჯუშს კი ბოლშევიკები მაშინვე დახვრეტენ, როგორც კი იგი ხელში ჩაუვარდებათ. ეს მართალია, როგორც მზე, რომელიც დედამიწას ანათებს, ბატონიშვილო თოუხან, და მე ვიცი, რომ უჯუში შენ გიყვარს. უჯუშმაც იმისთვის დაგიბარა, რომ გასაჭირში მოხმარებოდი. შენ კი იგი სასიკვდილოდ გაგიმეტებია. გთხოვ, აპატიო მის ძიძიშვილს ეს საყვედური.

– ჰაკი! – შეწყრომით მიმართა ჰაკის უჯუშმა. – მე ვთქვი, ზედმეტი სიტყვა საჭირო არ არის-მეთქი. შენც დაჩუმდი.

– კადნიერებაა, რომ მდაბიო კაცი ბრწყინვალე თავადების წინაშე სიტყვის თქმას ბედავს, მაგრამ მე არ შემიძლია შენი თავი სიკვდილს დავუთმო, უჯუშ, სანამ ცოცხალი ვარ. შენმა გამზრდელმა მამაჩემმა მიანდერძა, როცა კვდებოდა: უჯუში შენი მზე არის, ეს იცოდეო. სიცოცხლე იმისათვის მომიცია, რომ იგი უჯუშს შესწირო, როცა ამის საჭიროება დადგებაო. დედაჩემმაც გაიგონა ეს სიტყვები და შენი ძიძა დღესაც ცოცხალია.

უჯუშმა ხელი მოჰკიდა ჰაკის. თოუხანს მოაშორა. გვერდით ამოიყენა.

– დაჩუმდი, ჰაკი, – ბრძანებისა და თან მოფერების კილოთი უთხრა და სიტყვა თოუხანზე გადაიტანა.

– კარგად მესმის, თოუხან, რისთვის მოსულხარ. ალბათ, ეს არის ერთადერთი გამოსავალი. სხვა რომ არსებობდეს, უკეთესი, შენც იმას მირჩევდი. ეს მე მწამს, როგორც შენი ძმობა. აპატიე ჰაკის. შენ ხომ იცი მისი ამბავი. – მცირე ხნით შეწყვიტა. მერე ისევ განაგრძო:

– მე ახლა მაწუხებს მხოლოდ ერთი ამბავი, ჩემი იარაღი მტერს არ მინდა მივცე ნებაყოფლობით, გთხოვ, შენ ჩაიბარო იგი.

თოუხან მარშანმა პასუხად მკლავები ფართოდ გაშალა, უჯუშს მხრებზე მოხვია და მწარედ აქვითინებული მთელი ტანით გადაეჭდო, გულში ჩაიკრა.

...

ორმა რევოლვერმომარჯვებულმა მეზღვაურმა უჯუშ ემხა ამოიყვანა და, მეზღვაურთა რიგებს შუა გავლით, გემის ქიმისაკენ უხმოდ გაატარა. ემხა თავაწეული მოაბიჯებდა, დინჯად და ნელა. მაღალი ტანი სწორად ეჭირა. განიერი ბეჭები ოდნავ რხევით მოჰქონდა. გემის ბანს იქით იცქირებოდა მაღლა შემართული თვალებით. გახევებულ და უმეტყველო სახეს მხოლოდ ერთი ხაზის მკრთომარება უცხოველებდა, რომელიც უძრავად თვალებში შეფინებოდა: ეს იყო ნაღვლიანი ღიმილის ძლივს შესამჩნევი ციმციმი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დარდს გამოხატავდა, უნდო შეგნებით დაძლეულს. პირდაპირ, ცის კიდურზე გართხმულ მოწითალო სინათლის კრთომას შეჰყურებდა, სადაც ნათელი დღის კარი უნდა გაღებულიყო.

უჯუშ ემხასაც არ დაუნახავს ჰაკი აძბა, რომელიც კუზმას გვერდით თავქვე დამხობილიყო ხმაგაკმენდილი... ჰაკიმ თავი ასწია. წელში გაიმართა და მიმოიხედა. უცებ, საერთო დუმილსა და უძრაობაში, ქიმზე გადამდგარი უჯუშ ემხა დალანდა. სანამ აზრს მოიკრეფდა, ყურთასმენა რევოლვერის მკვეთრმა ხმამ შეუნგრია და მისმა თვალებმა აღბეჭდეს უჯუშის კეფაზე მიყენებული რევოლვერის ლულა, რომლის პირიდან ცეცხლმა იელვა...

– ვაჰააჰაი, ჩემო თავო! უჯუშ! – იყვირა ჰაკიმ და თავის ადგილიდან პირდაპირ მეზღვაურთა რაზმს ეკვეთა. შეგლიჯა, შეარღვია და გემის იმ მხარეს მოექცა, სადაც მისმა თვალებმა უკანასკნელად უჯუშის სახე დალანდეს... იგი ერთი ნახტომით გემბანის მოაჯირთან გაჩნდა. ცხადი იყო მისი განზრახვა.

– შესდექ! – დაიგმინა უცებ კუზმამ და მარჯვენა ხელი რევოლვერისაკენ გააქანა. ჰაკი არ შედგა. მაგრამ სანამ ტანს მოაჯირზე გადასახტომად მოიმარჯვებდა, კუზმასკენ მოიხედა შეღრინებით... იმავე წამს რევოლვერი გავარდა.

შუბლგანგმირული ჰაკი აძბა იატაკზე გაიშხლართა.

655002

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) **3. თოუხანის *როგორი* დამოკიდებულება ჩანს უჯუშის მიმართ ფრაზაში:** „გულაჩვილებული მარშანი ტირილს ძლივს იკავებდა“?
ა) თოუხანს სძულს უჯუში.
ბ) თოუხანს უყვარს უჯუში.
გ) თოუხანს უჯუშის იმედი აქვს.
დ) თოუხანი უჯუშზე ძლიერ ნაწყენია.

(1) **4. ჰაკი აძბას *რა* სულიერ მდგომარეობას გამოხატავს მისი წამოძახილი:** „ჰაიტ, რა დიაცურად მოქცეულან ის ძუ ძაღლები“?
ა) აღტაცებას.
ბ) აღშფოთებას.
გ) კმაყოფილებას.
დ) სასოწარკვეთას.

(1) **5. *რა* მიზნით დააპატიმრეს ბოლშევიკებმა ბექირბი ჩაჩბა?**
ა) სოხუმის მოსახლეობა რომ დაემშვიდებინათ.
ბ) უდანაშაულო ადამიანი რომ დაესაჯათ.
გ) უჯუში ხელში რომ ჩაეგდოთ.
დ) ჰაკის ერთგულება რომ გამოეცადათ.

(1) **6. *რა* მიზნით ეუბნება ერთ-ერთი ემხა უჯუშს:** „...მთელი აფხაზეთი ჩაერევა ამ საქმეში და უჯუშს სიკვდილისაგან იხსნისო“?
ა) უჯუშს გადარჩენის იმედი რომ გადაუწუროს.
ბ) უჯუშს გადაწყვეტილების მიღება რომ გაუადვილოს.
გ) უჯუშს გადაწყვეტილების მიღება რომ გაურთულოს.
დ) უჯუშს განწირულების განცდა რომ გაუძლიეროს.

(1) **7. უჯუშ ემხას *რა* თვისება ჩანს მის სიტყვებში:** „დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში“?
ა) პატივმოყვარეობა.
ბ) ფანატიზმი.
გ) ღვთისმოსაობა.
დ) ღირსეულობა.

(1) **8. ტექსტის *რომელ* მონაკვეთშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?**
ა) „ბოლშევიკებმა შენს მაგიერ ბექირბი ჩაჩბა დაატყვევეს“.
ბ) „ისევ მივარდა მარშანს. მკლავებზე ხელები შეავლო“.
გ) „მიწისფერ ტუჩებში თეთრი კბილები გამოაჩინა“.
დ) „ხელების გაშლით წამოიგმინა მან“.

(1) **9. *რომელი* მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ტექსტის მონაკვეთში:** „ეს მართალია, როგორც მზე, რომელიც დედამიწას ანათებს“?
ა) ალუზია.
ბ) გაპიროვნება.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) **10. *რამ* ათქმევინა ჰაკის ასეთი საყვედური:** „შენ კი იგი სასიკვდილოდ გაგიმეტებია“?
ა) იგი დარწმუნებული იყო – თოუხანს უჯუში არ უყვარდა.
ბ) იგი თოუხანის ღალატში ბოლომდე არ იყო დარწმუნებული.
გ) მისთვის ცხადი გახდა, რომ უჯუში ყველამ გაწირა.
დ) მისთვის ცხადი გახდა, რომ უჯუში ყველას უყვარს.

(1) **11. *რის* თქმა სურს უჯუშ ემხას, როდესაც თოუხანს ჰაკის შესახებ ეუბნება:** „შენ ხომ იცი მისი ამბავი“?
ა) უკან დახევა ჰაკისათვის ჩვეულებრივი ამბავია.
ბ) ძუძუმტის გადასარჩენად ჰაკი თავგანწირვისთვისაც მზადაა.
გ) ჰაკისათვის ანგარიშის გაწევა არ ღირს.
დ) ჰაკი სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩაიგდებს.

(1) **12. *რატომ* ატირდა თოუხან მარშანი უჯუშთან გამომშვიდობების დროს?**
ა) ხვდებოდა, რომ სოხუმის გადარჩენა შეუძლებელი იყო.
ბ) ხვდებოდა, რომ უჯუში სასიკვდილოდ იყო განწირული.
გ) ხვდებოდა, რომ უჯუშს სამშობლოდან გადახვეწა მოუწევდა.
დ) ხვდებოდა, რომ ჰაკი აძბა უჯუშს შეეწირებოდა.

(1) **13. უჯუშ ემხას *რა* თვისება ჩანს მონაკვეთში:** „ემხა თავაწეული მოაბიჯებდა, დინჯად და ნელა. მაღალი ტანი სწორად ეჭირა“.
ა) გულგრილობა.
ბ) ვაჟკაცობა.
გ) შემგუებლობა.
დ) წინდახედულება.

(1) **14. *რატომ* აპირებდა ჰაკი აძბა გემბანის მოაჯირიდან გადახტომას?**
ა) ჰაკის არ შეეძლო თუნდაც დაღუპული უჯუშის მიტოვება.
ბ) ჰაკის სურდა პროტესტის გამოხატვა ბოლშევიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ.
გ) ჰაკის ამ ხერხით უნდოდა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა.
დ) ჰაკი ცდილობდა ზღვაში გადახტომას, რათა სოხუმელებს მიშველებოდა.

(1) **15. უჯუშ ემხას *რა* სულიერ მდგომარეობას გამოხატავს სიტყვები:** „უმეტყველო სახეს მხოლოდ ერთი ხაზის მკრთომარება უცხოველებდა“?
ა) გადარჩენის იმედს.
ბ) ზედმეტ თავდაჯერებულობას.
გ) მტრის სიბრალულს.
დ) შინაგან მღელვარებას.

(1) **16. *რა* არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი?**
ა) ადამიანის მკვლელობისათვის დამნაშავე უთუოდ უნდა დაისაჯოს.
ბ) იდეოლოგიური ბრძოლის დროს ყოველგვარი მხვერპლი გამართლებულია.
გ) საზოგადოებამ პიროვნებას გამოსწორების შანსი უნდა დაუტოვოს.
დ) ღირსების დასაცავად ადამიანმა შეიძლება თავიც გაწიროს.

(1) **17. *რის* შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?**
ა) ადამიანური ღირსების დაცვის.
ბ) მოყვასისათვის სიცოცხლის გაწირვის.
გ) ოჯახისა და მეგობრის ერთგულების.
დ) ქალისა და მამაკაცის სიყვარულის.

ბ) წერითი დავალება (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>ნაწერი არ გასწორდება,</u> *თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის რვეულში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, ***შავად შესრულებული ნამუშევარი <u>არ გასწორდება</u>***.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ უჯუშ ემხას მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ღირსებისა და მოვალეობისადმი პერსონაჟის დამოკიდებულებას).
- იმსჯელეთ ჰაკი აძბას მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რომელ მხატვრულ საშუალებებს იყენებს ავტორი ამ ტექსტში და რა ფუნქცია ეკისრება მათ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შავი სამუშაოსათვის